ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის ტე-9 წელი

№ 38 (637) | ოთხშაბათი, 13 მაისი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

ფართო გზა ტურიზმს

მწვანით შეიმოსა საქართველოს მინდორ-ველი, ტყეები, ბაღ-ვენახები, ჯეჯილი ბიბინებს ყანებში, თეთრად ბრწყინავენ კავკასიონის მთაგრეხილის ქაღარა მწვერვალები. ამ ბუმბერაზ მთებს შუა მოქცეული ცელქი მდინარეები ჩანჩქერად ეშვებიან, ლაღად მიიკლაკნებიან ბარისაკენ.

საქართველოს წარმტაცი ბუნება ვის არ მიიზიდავს. შავი ზღვის სანაპიროდან ალაზნის ველამდე ყველგან შეხვდებით ლამაზ, მომხიბლავ ადგილებს. საქართველოში ტურიზმის სპორტის განვითარებისათვის შესანიშნავი ბუნებრივი პირობები არსებობს.

მალე მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, ციმბირიდან, ურალიდან და ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან დაიწყებენ დენას ტურისტთა ნაკადები. საქართველოს დედაქალაქისაკენ სამხედრო გზით თუ სუხუმზე გავლით ჩამოვლენ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი შვებულების დღეები ტურისტულ ლაშქრობაში გაატარონ, გაეცნონ მხარეს, სადაც დაირწა დიდი სტალინის აკვანი. მათ აინტერესებთ ნახონ ის ისტორიული ადგილები, სადაც ჰქუხდა ხალხთა გენიის მგზნებარე სიტყვები. ახლა, ტურიზმის, სპორტის ამ მიმზიდველი სახეობის, საუკეთესო პერიოდია. ტურიზმი—საბჭოთა ფიზკულტურის განუყოფელი ნაწილი, მშრომელთა აქტიური დასვენების მძლავრი საშუალებაა. ამავე დროს იგი ფიზიკურად აკაჟებს ადამიანს, უნვითარებს მას კოლექტივიზმის, მეგობრობის გრძნობას, აყვარებს მშობლიურ მხარეს, აწრთობს და ამზადებს ყოველგვარ დაბრკოლებათა გადასალახავად. ტურისტული მოგზაურობები გონებრივი სამყაროს გამდიდრების უშრეტი წყაროა.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი ქალაქის ტურისტული სექცია ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობს. ბათუმში, ქუთაისში, სუხუმში არსებული სექციები სისტემატურად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს ქალაქის ახლო-მახლო არსებულ ღირსშესანიშნავ ადგილებში. სანიმუშოდ მუშაობს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. აქ მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, რომელიც მონაწილეთა მეხსიერებაში წარუშლელი დარჩება. კარგად მუშაობენ აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ტურისტულ-საექსკურსიო სადგური, სპორტული საზოგადოებები „ნაუკა“, „ბურევესტნიკი“, „კრასნოე ზნამია“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის ტურიზმისა და ალპინიზმის სექციები.

მალე უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში არდადეგები დაიწყება. ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ გაემართონ ტურისტულ ლაშქრობებში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებებში. ამიტომ საჭიროა ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა მოამზადონ ნიადაგი, რათა ყველა ღონისძიება მაღალი სპორტული დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიშნით ჩაატარონ.

უნდა ვუსაყვედუროთ ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს ხელმძღვანელობას, რომელმაც დღემდე ვერ შეძლო ტურისტული საჭურვლის კომპლექტების მომარაგება. გასულ წელს პროფესიული კავშირების ხაზით არმაზის ხევში მეტად საინტერესო ღონისძიება ჩატარდა წელსაც განზრახულია ასეთივე ლაშქრობის მოწყობა, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა. უნდა ვუსაყვედუროთ აგრეთვე ტურიზმის რესპუბლიკურ სექციას, რომელიც სუსტად ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

საინტერესო ლაშქრობების მოწყობაში ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დიდ დახმარებას გაუწევს კომკავშირი. ლაშქრობები უნდა ტარდებოდეს მაღალი დისციპლინის ნიშნით. ამისათვის საჭიროა ყოველი დეტალი წინასწარ გავითვალისწინოთ. ლაშქრობის დროს სასურველია კედლის გაზეთების გამოშვება, რომლებშიც აღნიშნული იქნება მოწინავე, კარგი მაგალითის მომცემი ამხანაგები. მოლაშქრეებს წინასწარ უნდა გავაცნოთ მარშრუტი, სად ეწყობა დასვენება, სად შეხვდებათ მდინარე, გადასასვლელი, მწვერვალი და სხვა დაბრკოლებები.

რესპუბლიკის ყველა რაიონის ფიზკულტურულ და კომკავშირულ ორგანიზაციას შეუძლია წარმატებით შეუწყოს ხელი ტურიზმის განვითარებას, რადგანაც იგი მეტად საინტერესო და სასარგებლო სპორტია. ამიტომ რაიონული კომიტეტები, სპორტული საზოგადოებები მოვალენი არიან ამთავითვე იზრუნონ, რათა მიმდინარე სპორტული სეზონი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების გარდა ტურისტული ლაშქრობებითაც აღნიშნონ. ეს გაამდიდრებს და შინაარსიანს გახდის მათ საქმიანობას, ხოლო სამშობლოს გამოწრთობილ და დაბრკოლებათა გადამლახავ ახალგაზრდებს აღუზრდის.

ა. ამბროსენკოვის ახალი მსოფლიო რეკორდი

3 მაისს მინსკის გზატკეცილის 23-ე კილომეტრზე დიდძალი მოსკოველი დაესწრო შეჯიბრებას ავტომოტოსპორტში.

მაღალი სპორტული ოსტატობა გამოავლინეს ავტომობილისტებმა. სპორტის ოსტატმა ალექსი ამბროსენკოვმა მიმდინარე წელს ავტომოტოსპორტსმენთა შორის პირველმა მიაღწია უდიდეს წარმატებას. იგი შეჯიბრებაში მონაწილეობდა 250 კუბ. სანტიმეტრამდე ძრავის ავტომობილით „ზვეზდა“ „მ-ნამი“, ა. ამბროსენკოვმა 50 კმ დისტანცია დაფარა 19:25,8 და განავითარა საათში საშუალოდ 150,905 კმ სისწრაფე. ეს შედეგი ჭარბობს ბარანოვის მიერ 1950 წელს 350 კუბსანტიმეტრამდე ძრავიანი „ზვეზდა-ზმ“ კლასის ავტომობილით დამყარებულ რეკორდს. ა. ამბროსენკოვის მიღწევა აგრეთვე სჭარბობს 1952 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს 350 კუბსანტიმეტრამდე ძრავიანი ავტომობილისათვის.

სურათზე: თბილისის 23-ე ქალთა საშუალო სკოლის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდი (მწვრთნელი შ. ინწკირველი). რომელმაც მოიპოვა ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თასი. მარცხნიდან მარჯვნივ — ი. რევია, ლ. ჯორბენაძე, ნ. რაზმაძე, (გუნდის კაპიტანი), ნ. სეფიაშვილი, ნ. გოგიჩაიშვილი.

„კოლმეურნის“ რაისაბჭოების თავმჯდომარეთა სემინარი

საზოგადოება „კოლმეურნის“ როსტოვის საოლქო საბჭომ მოაწყო რაისაბჭოების თავმჯდომარეთა ათდღიანი სემინარი. 80-საათიან პროგრამაში შედიოდა ორგანიზაციული, სასწავლო-სპორტული და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხები.

სემინარის მონაწილეებისათვის მოეწყო მეცადინეობანი სპორტულ თამაშობებში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, საცხენოსნო სპორტსა და მძლეოსნობაში.

რაისაბჭოების თავმჯდომარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. სემინარის მსმენელებს დაურიგდათ სასწავლო ნივთები და ფიზკულტურული ლიტერატურა.

ნორჩი მძლეოსნის საკავშირო მიღწევა

კიევში ხრუშჩოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე 131-ე ვაჟთა სკოლის X კლასის მოსწავლემ ქალაქის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის აღსაზრდელმა ა. ზელენცევმა საუკეთესო შედეგი აჩვენა ჭოკით ხტომაში. მან გადალახა თამასა 3 მ 93 სმ-ზე, რითაც გადააჭარბა მის მიერვე ადრე დამყარებულ საკავშირო რეკორდს.

ტურისტთა პირველი ნაკადი

შავი ზღვის სანაპიროზე გაიხსნა ტურისტული სეზონი. სოჭის ტურისტულ ქალაქში ჩავიდნენ პირველი სპორტსმენები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინისა და ციმბირის ქალაქებიდან. მიმდინარე სეზონში ტურისტული ბაზა მოემსახურება შვიდ მარშრუტს. ზაფხულის განმავლობაში კრასნოდარის მხარის ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო მომსახურებას გაუწევს 300 ათასამდე სპორტსმენს.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

დღეს თბილისში, რკინიგზის ბავშვთა ტექნიკური პროპაგანდისა და მხატვრული აღზრდის სახლში, დაიწყება საქართველოს 1953 წლის პირველობა ჭადრაკში.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს 1952 წლის ჩემპიონი მ. შიშოვი, ა. ფირცხალავა, თბილისის 1953 წლის პირველობის პრიზიორები თ. გიორგაძე, ა. ბუსლაევი, გ. გაჩეჩილაძე და რესპუბლიკური პირველობის ნახევარფინალებში გამარჯვებულნი ბ. გურგენიძე, ლ. ზაიჩიკი, ო. ელიოზიშვილი, ა. ბლაგიძე, ა. დავრანიანი, ნ. ბახტაძე, ვ. ქარსელაძე, პ. არონშტეინი, ნ. სოროკინი და ფ. მიქაელიანი.

ელექტროშპაგებით

საქართველოსა და სომხეთის მოფარიკავეთა შეხვედრა

ფარიკაობაში საკავშირო პირველობის გათამაშების წინ, რომელიც ამ დღეებში ხარკოვში გაიმართება, თბილისს ესტუმრა მოძმე სომხეთის მოფარიკავეთა კოლექტივი.

მოფარიკავეთა ეს მეგობრული, ამხანაგური შეხვედრა ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ თბილისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ პირველად ნახა სომხეთის მოფარიკავეთა ჯგუფის მიერ კონსტრუირებული ელექტროსიგნალებით მსაჯობა, ან როგორც ამას სპორტულ წრეებში უწოდებენ, „მუშაობა ელექტროშპაგებით“.

ამხანაგური შეხვედრის პირველ დღეს გაიმართა გუნდური შეჯიბრებები ფარიკაობის სხვადასხვა სახეობაში. ქალთა შორის რაპირით ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა საქართველოს მოფარიკავეთა გუნდმა (ჯ. ზენაიშვილი და ზ. კვერენჩხილაძე) ანგარიშით — 3:1. ერთადერთი წაგება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელ ზენაიშვილს მააყენა სომხეთის მოფარიკავემ — გ. სრაპიონიანმა. ვაჟთა შორის რაპირაში დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველობა მოიპოვა საქართველოს მოფარიკავეთა კოლექტივმა (5:4), რომლის შემადგენლობაში იყვნენ ტ. მესხი, შ. ჯიქია, გ. ჩხაიძე.

ელექტროშპაგით ბრძოლაში აშკარა იყო საქართველოს სპორტსმენთა უპირატესობა. მათ ადვილად მოუგეს შეხვედრა მოწინააღმდეგეს (7:2). აქ აღსანიშნავია, რომ სპორტის ოსტატმა ა მეიფარიანმა გაიმარჯვა რა სომხეთის უძლიერეს მოფარიკავე ა. მურადიანზე, დამარცხება განიცადა ახალგაზრდა მოფარიკავე ო. ჩიქოვანისაგან (სომხეთი).

საქართველოს გუნდმა ერთნაირი ანგარიშით — 5:4 მოიგო შეხვედრა ესპადრონსა და ელასტიკური ხიშტით ბრძოლაში.

კარგი მომზადება გამოამჟღავნა პირად ჩათვლაში საქართველოს მოფარიკავე ქალმა ზ. კვერენჩხილაძემ. მან რაპირაში დაისაკუთრა პირველი ადგილი. შპაგაში უძლიერესი აღმოჩნდა რ. ცირეკიძე, ელასტიკური ხიშტით ბრძოლაში — თ. ჭირაქაძე, რაპირაში ა ეზიკელიანი (სომხეთი), ესპადრონში — შ. დვალი.

მძლეოსანთა ტრადიციული შეხვედრა

ლ. სესაძის საკავშირო რეკორდი

ბაქოში, სტალინის სახელობის სტადიონზე, ორ დღეს გრძელდებოდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების: საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება.

ასპარეზობის საზეიმო გახსნაზე სპორტსმენებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აზერბაიჯანის ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსმა ი. რაგიმოვმა, რის შემდეგაც დაიწყო სპრინტერთა გამოსვლები. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში პირველობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ნ. დვალიშვილმა — 12,4. ვაჟთა შორის გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ლ. სანაძემ — 11,1.

80 მეტრზე თარჯრბენში ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა — 12,5.

საქართველოს მძლეოსნებს წარმატება ხვდათ ქალთა ამანათრბენში 4×100. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ე. გოკიელი, ა. ოვივიანი, მ. ქოჩლაძე, და ნ. დვალიშვილი, მანძილი დაფარა 50,4. ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია.

ქალთა შორის ბირთვის კვრაში გაიმარჯვა აზერბაიჯანელმა სპორტსმენმა, სპორტის ოსტატმა ა. ფომინამ — 12,45 მ. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ლუპარევა (საქართველო) — 12,34 მ. 5.000 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის პირველობდა ს. უშაკოვი — 15:13,0. 400 მეტრზე რბენა მოიგო რ. ტრაპაიძემ 50,0.

ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. დუმბაძემ — 49,83 მ. მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანელი არზუმანოვა — 48,83 მ. მძლეოსნობის ამ სახეობაში წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა ქართველ სპორტსმენს ლ. სესაძეს მან ბადრო ტყორცნა 42,56 მეტრზე, რითაც გააუმჯობესა საბჭოთა კავშირის რეკორდი უფროსი ასაკის გოგონათათვის.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოს მძლეოსანთა კოლექტივი (213 ქულა), რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ აზერბაიჯანის გუნდს (98 ქულა). სომხეთის გუნდი 69 ქულით დარჩა მესამე ადგილზე.

★

ლ. სესაძე

ნებისმიერი ვარჯიშები სპორტულ ტანვარჯიშში

ნებისმიერი ვარჯიშები, რომლებსაც ტანმოვარჯიშეები ადგენენ მწვრთნელებთან ერთად, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ილეთებით, ნაერთებით და კომპოზიციით. ამიტომ ტანმოვარჯიშე ნებისმიერ ვარჯიშებში უფრო სრულად გამოავლენს თავის ნიჭს, გემოვნებასა და შესაძლებლობას.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი ვარჯიში, არის მისი სიძნელე. იგი განისაზღვრება ძირითადი ტანვარჯიშული ილეთებისა და ნაერთების ტაბულით, სადაც ილეთები და ნაერთები სიძნელის მიხედვით დაყოფილია ჯგუფებად. გარდა ამისა, ნებისმიერი ვარჯიშები კომპოზიციურად გამართული უნდა იყოს და იძლეოდეს ერთ დასრულებულ სურათს.

ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებისას მხედველობაში ვიღებთ შემდეგს:

ვარჯიში მთლიანად დინამიკური უნდა იყოს, ვინაიდან ასეთი ვარჯიშები შემსრულებელში უკეთ გამოიმუშავებენ სწრაფ რეაქციას, გამძლეობას, შესრულების სისხარტეს, სიზუსტეს და ა. შ.

გრძელი და ძნელი ვარჯიშები შედგება ნაწილებისაგან, რომლებიც უნდა მთავრდებოდეს რაიმე სტატიკური მდგომარეობით ან შედარებით ადვილი ნაერთით. ეს ადვილი ნაერთი უნდა ქმნიდეს სათანადო ტექნიკურ კავშირს, ვარჯიშის წინა და მომდევნო ნაწილებს შორის და წარმოადგენდეს მათ ლოგიკურ შეერთებას.

ვარჯიშის შემადგენელი ცალკეული ილეთი და ნაწილი ტექნიკურად იმგვარად უნდა იყოს შეერთებული, რომ ვარჯიშს ჰქონდეს ერთი მთლიანი, დამთავრებული სურათის სახე. გაქნევით შესრულებული ილეთები ან ნაერთები ისე უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს, რომ წინა ილეთის ან ნაერთის შესრულების შემდეგ დარჩენილი გაქნევა გამოყენებულ იქნას მომდევნო ილეთის ან ნაერთის შესასრულებლად. წინა ილეთის შესრულების შემდეგ სხეულის საბოლოო მდგომარეობა უნდა წარმოადგენდეს საწყის მდგომარეობას მომდევნო ილეთის შესასრულებლად.

დინამიკა ვარჯიშში თანდათან უნდა იზრდებოდეს და უმაღლეს წერტილს აღწევდეს მის ბოლო ნაწილში, დამთავრდეს ეფექტური და მთელი ვარჯიშის შესაფერი სიძნელის ჩამოხტომით.

ვარჯიშის ეფექტურობის გაძლიერებას შეიძლება მივაღწიოთ მასში შემავალი ილეთებისა და ნაერთების დინამიკურობით და კონტრასტულობით, ე. ი. ვარჯიშში დინამიკის, სტატიკისა და ისეთი ილეთების რიგრიგობით გამოყენებით, რომლებიც ხასიათდება იარაღის მიმართ სხეულის მაქსიმალურად მაღალი და მაქსიმალურად დაბალი მდგომარეობით. ვარჯიშში დინამიკური და სტატიკური კუნთოვანი ძალვების სწორად განლაგება ადიდებს ტანმოვარჯიშის მუშაობის უნარიანობას და ხელს უწყობს ვარჯიშის ზუსტად შესრულებას.

ნებისმიერ ვარჯიშში არ შეფასდება: სავალდებულო ვარჯიშიდან აღებული ჩამოხტომები; ილეთები, რომლებიც ბოლოვდება სტატიკური მდგომარეობით — აღნიშვნა მაშინ, როცა ტაბულით გათვალისწინებულია მხოლოდ „ყოვნა“; ისეთი ძალისმიერი ილეთები სტატიკური მდგომარეობები ქალთა ვარჯიშებში, რომლებიც დაკავშირებულია დიდ კუნთოვან ძალვებთან, გარდა იმ (ან მსგავსი) ილეთებისა, რომლებიც შეტანილია ტაბულაში; სამზე მეტი ერთი და იგივე ტიპის ილეთი (გარდა ტაიჰზე ვარჯიშისა); ორზე მეტი ისეთი ილეთი, რომელიც ბოლოვდება ერთი და იგივე სტატიკური მდგომარეობით (გარდა ხელყირებისა); ერთი და იგივე განმეორებული ილეთები.

განმეორებად ითვლება ერთი და იგივე ილეთის შესრულება რამდენიმე შეცვლილი ვარიანტებით. მაგალითად: ამართსვლა — გაქნევიდან, დასვლის შემდეგ, გადაქნევის შემდეგ, ერთი და იგივე ილეთის შესრულება მიხტომით და ბჯენიდან, თუ ის უკვე შესრულებული იყო ნაერთში, ნაირსიმაღლის ორძელზე ერთი და იგივე ილეთის შესრულება ზედა და ქვედა ძელზე.

განმეორებად არ ითვლება ერთი და იგივე სტრუქტურის ისეთი ილეთების შესრულება, რომლებიც მთავრდება სხვადასხვა საბოლოო მდგომარეობით ან იწყება ისეთი საწყისი მდგომარეობიდან, რაც ილეთს სცვლის არსებითად. მაგალითად: ორძელზე უკუტრიალი და უკუტრიალით მხარყირა; რგოლებზე გრეხილი და გრეხილით ჩამოხტომა; უკუმალაყი ორი ფეხიდან და ერთი ფეხიდან. განმეორებად არ ითვლება აგრეთვე ილეთები, რომლებიც სრულდება რაიმე დამატებითი მოძრაობით, რაც არსებითად სცვლის ილეთს, მაგალითად: მალაყი და მალაყი ზურგისაკენ ბრუნით; ილეთის შესრულება მარჯვენა და მარცხენა ხელზე სხვადასხვა მხარეს; რაიმე ილეთის რამდენჯერმე ზედიზედ შესრულება იმ პირობით, რომ განმეორება მნიშვნელოვნად სცვლიდეს ილეთის შესრულებას (მაგ. ორი ალმატრიალი უკნითი კიდით). თავისუფალ ვარჯიშებში განმეორებად არ ითვლება ილეთის შესრულება სხვადასხვა დინამიკურ აკრობატულ ნაერთში, თუ ილეთთან შეერთებული სხვა ილეთების თანმიმდევრობა განსხვავებულია; წინქანზე და უკუქანზე შესრულებული ერთი და იგივე ილეთი; სტატიკური მდგომარეობა, თუ იგი მიღებულია როგორც სხვადასხვა ილეთის დაბოლოება.

ერთი ტიპის ილეთად არ ჩაითვლება სტრუქტურით განსხვავებული ილეთების შესრულება წინ- და უკანა მხარეს (მაგ. წინყირამალა და უკუყირამალა), შესრულება ნელა და ჩქარა (მაგ წინყირამალა ნელა და წინყირამალა ჩქარა).

ყველა შემთხვევაში, როცა ფასდება მხოლოდ ერთი (განმეორებისას) ან მხოლოდ სამი ილეთი (ერთი ტიპიურობისას), შეფასდება ის ილეთები, და ნაერთები, რომლებსაც მეტი სიძნელე გააჩნიათ.

ნებისმიერი ვარჯიშის ნაკლად ითვლება: ცალკეულ ილეთებსა და ნაერთებს შორის კავშირის აშკარად უქონლობა; მასში დაუსაბუთებელი პაუზების და ყოვნების შეტანა დასვენების მიზნით; ისეთი ილეთების გაუმართლებელი შეტანა, რომლებიც სიძნელით არ შეესაბამება მოცემულ თანრიგს; ნაირსიმაღლის ორძელზე ზედიზედ ორზე მეტი ილეთის შესრულება მეორე ძელზე ტაცის გარეშე; ილეთის შესრულება მარჯვენა და მარცხენა ხელზე და სხვადასხვა მხარეს (გარდა ტაიჰისა და დვირისა); ილეთის შეუსრულებლობა გაქნევის ან ქანის ერთ წერტილში.

ნებისმიერი ვარჯიშის ნაკლად არ ითვლება: წინასწარი გაქნევა ან ქანი; ღერძზე ან ნაირსიმაღლის ორძელის ერთ ძელზე უკუქნევა ამართსვლის, აკვრით ასვლის ან წრეტრიალის შემდეგ; რგოლებზე ქანებში ქანის შუალედებს შორის გაქნევები უკნით კიდში, ზეშვერკიდში, ბჯენში ან კიდში; ნაირსიმაღლის ორძელზე შუაქნევა ვარჯიშის ორ სხვადასხვა ნაწილში.

ასეთია ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი ვარჯიშები მაქსიმალური შეფასების მისაღებად. მაგრამ ტანმოვარჯიშეები და მწვრთნელები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მინიმალურ მოთხოვნათა ფორმალური შესრულებით და ფართოდ უნდა გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი უნარი მაღალხარისხოვანი ნებისმიერი ვარჯიშების შესაქმნელად.

გ. ჭილაია,
საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ტანვარჯიშში.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი ხალისით ეწაფება სპორტს, რომელიც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სკოლის მასწავლებელთა საპატიო მოვალეობას წარმოადგენს ჩაუნერგონ ბავშვებს სიყვარული ფიზკულტურისა და სპორტისადმი, აღზარდონ ისინი მხნე, ხალისიან, გამბედავ და მოქნილ ადამიანებად, რომლებსაც შეეძლებათ ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა. ამიტომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა არ არის მარტო ერთი — ამ დისციპლინის მასწავლებლის საქმე. იგი ყველა პედაგოგის ყურადღების საგანს უნდა წარმოადგენდეს.

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლის X კლასი „ძნელ“ კლასად ითვლებოდა. დირექციამ მისი ხელმძღვანელობა დაავალა გამოცდილ მასწავლებელს ივანე ფანჯიკიძეს. მან დიდი სიყვარულით მოკიდა საქმეს ხელი. ახლო გაეცნო, დაუახლოვდა მოსწავლეებს, გაიგო მათი მისწრაფებანი და სურვილები. სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად ი. ფანჯიკიძე მოელაპარაკა ფიზაღზრდის მასწავლებელს და მოსწავლეები ჩაება სპორტულ სექციებში. ბავშვებმა სპორტი შეიყვარეს, გულმოდგინედ მეცადინეობდნენ სექციაში. კლასის ხელმძღვანელმა კონტროლის ქვეშ აიყვანა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, თვალყურს ადევნებდა ვინ როგორ სწავლობდა, რას აკეთებდა. ამ საერთო ღონისძიებებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო. მოსწავლეები ერთმანეთს დაუახლოვდნენ, კლასის ინტერესების დაცვის სულისკვეთებით განიმსჭვალენ. ამან, ცხადია, პირველ რიგში გავლენა მოახდინა აკადემიური მოსწრების ამაღლებასა და შეგნებულ დისციპლინის განმტკიცებაზე.

სამწუხაროდ, ერთეული როდია შემთხვევა, როცა სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ფიქრობს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა მათი საქმე არ არის. ცხადია, ასეთი პედაგოგები ცალმხრივად მსჯელობენ, ვინაიდან სწორი ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობს ნაყოფიერ მეცადინეობას, ჯანსაღი და კულტურული ახალგაზრდობის აღზრდას.

უფრო ცუდ მდგომარეობას ვხვდებით თბილისის ვაჟთა მე-12 სკოლაში. აქ არსებული სპორტული მოედანი უყურადღებობის გამო მოუვლელია, მას შემოვლებული აქვს რკინის მესერი, რომელიც მუდამ დაკეტილია. ამის მიუხედავად, მოსწავლეები მაინც ახერხებენ მოედანზე გადასვლას და ფრენბურთისა და კალათბურთის თამაშს. და ეს ხდება ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე, მაშინ, როცა სკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობს და მოსწავლეები გაკვეთილებზე უნდა იყვნენ. რა თქმა უნდა, ამაში პირველ რიგში დამნაშავეა სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი კ. ბახია, რომელიც თავის პირდაპირ მოვალეობას არადამაკმაყოფილებლად ასრულებს. მეტიც, იგი „ნორჩი დინამოელის“ ცენტრალურ სპორტულ სექციაში ამეცადინებს ერთ-ერთ ტანვარჯიშულ ჯგუფს, მაგრამ გაკვეთილებს სისტემატურად აცდენს.

სკოლების მთელი პედაგოგიური კოლექტივის საერთო საქმედ და ზრუნვის საგნად უნდა გადაიქცეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, რაც სკოლების წინაშე მდგომი საპასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით გადაჭრის მტკიცე საწინდარია.

თ. სისორდია

ცვლილებანი ცხენოსნობის სათანრიგო მოთხოვნებში

ახალი კლასიფიკაციით სპორტის ოსტატის წოდება ცხენოსანს მიენიჭება საკავშირო პირველობაზე ან შეჯიბრებებზე, სადაც დაცულია საკავშირო პირველობის მოთხოვნები და მსაჯებად დანიშნული არიან საკავშირო კატეგორიის მსაჯები. სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად საჭიროა შემდეგი შედეგების ჩვენება: ა) მრავალჭიდი — არაუმეტეს 66 საჯარიმო ქულისა; ბ) დაბრკოლებათა გადალახვა 2 გიტში — არაუმეტეს 12 საჯარიმო ქულისა; გ) „უმაღლესი კლასის“ დაბრკოლებათა გადალახვა— არაუმეტეს 4 საჯარიმო ქულისა; დ) დოღი დაბრკოლებებით 6.000 მეტრზე — არაუმეტეს 7 წუთისა და 50 წამისა; ე) დოღი დაბრკოლებებით 4.000 მეტრზე — არაუმეტეს 4 წუთისა და 50 წამისა; ვ) ცხენოსნობის უმაღლესი სკოლა — ქულების შესაძლებელი რაოდენობის არაუმცირეს 70 პროცენტი.

პირველი თანრიგის მისაღებად სპორტსმენმა ცხენოსნობაში სსრ კავშირის პირველობაზე უნდა დაიკავოს პირველი-მეხუთე ადგილი შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სახეობაში, ან დაიკავოს პირველი-მეორე ადგილი არაუმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში, თუ ამ შეჯიბრებას დაამთავრებს ხუთი პირველი თანრიგის ან ათი მეორე თანრიგის სპორტსმენი.

მეორე თანრიგის მისაღებად არაუმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში სპორტსმენმა უნდა დაიკავოს პირველი-მესამე ადგილი, ამასთან, შეჯიბრება უნდა დაამთავროს ხუთი მეორე თანრიგის, ან ათი მესამე თანრიგის სპორტსმენმა. მეორე თანრიგი მიენიჭება სპორტსმენს აგრეთვე, თუ იგი საშუალო კლასის დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში განავითარებს წუთში 300 მეტრს და მიიღებს არაუმეტეს 4 საჯარიმო ქულისა.

მესამე თანრიგი მიენიჭება სპორტსმენს, რომელიც საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში დამწყებთა შორის დაიკავებს ერთ პირველ ადგილს ცხენოსნობის რომელიმე სახეობაში, ან ა) დაბრკოლებათა გადალახვაში (ექვსი დაბრკოლება: ღობურა, ფიცრული ღობე, ქვის კედელი, პარალელური ძელები, შლაგბაუმი, პირამიდა; დაბრკოლებათა სიმაღლე 80-90 სმ) განავითარებს წუთში 300 მეტრს და მიიღებს არაუმეტეს ოთხი საჯარიმო ქულისა; ბ) სამანეჟო სვლაში — შეასრულებს მესამე თანრიგის მოთხოვნებს; გ) ჩააბარებს გამოცდას სავეტერინარო მომზადებაში პროგრამის მიხედვით.

მოკლე მანძილზე რბენის სტარტი

მოკლე მანძილზე (100, 200, 400 მეტრი) რბენაში მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად აუცილებელია დაბალი სტარტის სრულყოფილად დაუფლება. მოკლე მანძილზე სტარტს (რბენის დასაწყისი) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რბენის დროზე დაწყებისა და მაქსიმალურ სისწრაფეზე გადასვლისათვის.

მოკლე მანძილზე რბენის სტარტი ეს არის პერიოდი, რომელიც იწყება სტარტის ხაზზე პირველი მოძრაობით და მთავრდება იმ დროს, როცა მორბენალი მოკლე სასტარტო ნაბიჯებიდან გადადის გრძელ ნაბიჯებზე.

მოცემული კინოგრამა აჩვენებს 100 და 200 მეტრზე სსრ კავშირის ჩემპიონისა და რეკორდსმენის ვლადიმერ სუხარევის დაბალი სტარტის თანმიმდევრულ მდგომარეობებს. როგორც ცნობილია, მას ეკუთვნის საუკეთესო შედეგები ამ მანძილზე რბენაში — 10,3 და 21,2.

სტარტზე გამოძახებისას მორბენალი იკავებს ადგილს სასტარტო ორმოში ან კალაპოტში (სურათი № 1). ძახილზე „ყურადღება“ მორბენალი წამოიწევა, ოდნავ ფეხების გამართვით მუხლს მოაცილებს მიწას, სხეულს წინ წასწევს, რითაც მის სიმძიმეს ძირითადად გადაიტანს ხელებზე და წინ მდგომ ფეხზე. თავი უჭირავს თავისუფლად, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში (სურათი № 2). ყველაფერი ეს უნდა კეთდებოდეს ზედმეტი დაძაბულობისა და შებოჭილობის გარეშე. დაძაბული უნდა იყოს მხოლოდ ყურადღება.

სიგნალის (გასროლის) გაგონებაზე მორბენალი გაიჭრება წინ ხელების სწრაფად აქნევით. ხელების ენერგიულ და სწრაფ აქნევას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ფეხების ასეთსავე მოძრაობას.

მორბენალი სასტარტო კალაპოტს შემდეგნაირად მოწყდება. ძირითად მუშაობას აწარმოებს წინ მდგომი ფეხი. მეორე ფეხი ოდნავ გაიმართება, რის შემდეგაც ბარძაყით ძალზე სწრაფად წინ გაიწევა. ამასთან ერთად წინ მდგომი ფეხი მკვეთრად გაიმართება და ამით სხეული წინ გაიწევა (სურათი № 3, 4, 5).

ამავე სურათებზე ჩანს გასვლის მომენტში მოკლე მანძილზე მორბენალთა დამახასიათებელი მდგომარეობა მენჯ-ბარძაყის სახსრებში ერთგვარად მოხრის დროს. სტარტიდან ასეთი გასვლის დროს სიმძიმის ცენტრი საკმაოდ დაბლა განლაგდება.

უკანა ბიძგის დასრულებულ ფაზას წარმოადგენს ფეხის სრულად გამართვის მომენტი, როცა იგი მთლიანად მოწყდება წინა კალაპოტს მეორე ფეხის ბარძაყის ერთდროული ამართვით (სურათი № 5).

მორბენალი უნდა ეცადოს პირველი ნაბიჯი დიდი არ იყოს (სასტარტო ხაზიდან 30-35 სმ), კალაპოტიდან გასვლისას სხეულის ძლიერ დახრის ხარჯზე (სურათი № 6, 7).

სტარტიდან პირველ ნაბიჯებს მორბენალი აკეთებს ნაბიჯის ეგრეთწოდებული „დამკვრელი“ ტექნიკით. ეს ნაბიჯი წარმოადგენს საშუალებას სისწრაფის სწრაფად განვითარებისათვის სტარტიდან გასვლის პირველ მეტრებზე (სურათი № 8, 9,10).

მომდევნო ნაბიჯების სიგრძე თანდათან იზრდება, ზედა ტანის დახრილობა მცირდება და სტარტიდან 20-25 მეტრის შემდეგ მორბენალი გადადის „ქნევითი“ ნაბიჯით რბენაზე.



ტექსტი და კინოგრამა
ა. ტარასევიჩისა.

საქართველოს 1953 წლის პირველობა ფეხბურთში

24 მაისს დაიწყება საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშება ჩატარდება რესპუბლიკის იმ ქალაქებისა და რაიონების მოედნებზე, რომელთა გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ჩემპიონატში.

პირველობა ტარდება სამ ჯგუფად. პირველი ჯგუფის „ა" ქვეჯგუფში შედიან თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, 26 კომისრის სახელობის რაიონის, თბილისის „ისკრის", ბორჯომის „შრომითი რეზერვების", წითელწყაროს „ნეფტიანიკის", თელავის „დინამოს", გორის „დინამოსა" და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდები.

„ბ" ქვეჯგუფში შედიან ქუთაისის „დინამოს", ბათუმის „დინამოს", სტალინირის „სპარტაკის", სუხუმის „დინამოს", მახარაძის ნაკრები, ხაშურის „ლოკომოტივის", ზუგდიდის „დინამოს" გუნდები.

მეორე ჯგუფში გათამაშება ჩატარდება სამ ქვეჯგუფად. „ა" ქვეჯგუფში შედიან ფოთის ნაკრები, ცხაკაიას „სპარტაკის", ოჩამჩირის „დინამოს", სამტრედიის ნაკრები, გუდაუთის „დინამოს", გაგრის „მედიკის" გუნდები. „ბ" ქვეჯგუფში — საჩხერის ნაკრები, წულუკიძის ნაკრები, ზესტაფონის „მეტალურგის", ქობულეთის „კოლმეურნის," აბაშის „სპარტაკის" და წყალტუბოს „მედიკის" გუნდები. „გ" ქვეჯგუფში — რუსთავის „მეტალურგის", გურჯაანის ნაკრები, ახალქალაქის ნაკრები, ახალციხის ნაკრები, ადიგენის ნაკრები და ბათუმის „ბურევესტნიკის" გუნდები.

მესამე ჯგუფში დაიშვებიან შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი ყველა ქალაქისა და რაიონის გუნდები, რომლებიც დებულებით გათვალისწინებულ ვადებში წარმოადგენენ განაცხადს.

შეჯიბრება ტარდება შემდეგი სისტემით და პირობებით:

პირველი ჯგუფის ქვეჯგუფებში გათამაშება იწარმოებს ცალ-ცალკე წრიული სისტემით, ორ წრედ — გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედანზე. მოგებისათვის გუნდს ეძლევა ორი ქულა, ყაიმისათვის — ერთი, წაგების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში — 0.

ქვეჯგუფებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას. თუ ქვეჯგუფში ორმა ან რამდენიმე გუნდმა დააგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა, ადგილები განაწილდება მიღებული და გატანილი ბურთების უკეთესი განსხვავების მიხედვით. ქვეჯგუფებში პირველ სამ ადგილზე გამოსული გუნდები (სულ ექვსი) ერთმანეთს შეხვდებიან ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც მოეწყობა წრიული სისტემით, ერთ წრედ. ფინალში გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება რესპუბლიკური ჩემპიონის წოდება ფეხბურთში. იგი დაჯილდოვდება საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის თვითეული მოთამაშე — პირველი ხარისხის დიპლომით და ჩემპიონის ნიშნით.

პირველ ჯგუფში მე-15-16 ადგილებზე გამოსული გუნდები 1954 წელს გადაყვანილ იქნებიან მეორე ჯგუფში.

მეორე ჯგუფში გათამაშება მოეწყობა წრიული სისტემით, ერთ წრედ ქვეჯგუფების მიხედვით. ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გამოსული გუნდები (სამი გუნდი) ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში, სადაც შეჯიბრება მოეწყობა წრიული სისტემით ერთ წრედ. ფინალური შეჯიბრების დროსა და ადგილს განსაზღვრავს რესპუბლიკური კომიტეტი.

მეორე ჯგუფში პირველ და მეორე ადგილზე გამოსული გუნდები 1954 წელს ჩაირიცხებიან პირველ ჯგუფში, ხოლო ქვეჯგუფებში ბოლო ადგილზე გამოსული გუნდები გადაყვანილი იქნებიან მესამე ჯგუფში.

მესამე ჯგუფის გუნდები დაყოფილი არიან ზონებად და თამაშები მოეწყობა წრიული სისტემით, ერთ წრედ. ზონებში პირველ ადგილზე გამოსული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩატარდება წრიული სისტემით, ერთ წრედ. ფინალში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გამოსული გუნდები 1954 წელს ჩაირიცხებიან მეორე ჯგუფში.

მიმდინარე წლის ჩემპიონატი დიდხანს გასტანს და, ცხადია, კარგ შედეგს მიაღწევს მხოლოდ ის გუნდი, რომელსაც ჰყავს სრულფასოვანი რეზერვი, ნიჭიერი, მზარდი ახალგაზრდები. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებმა და სპორტსაზოგადოებებმა თავიანთი ყურადღება უნდა წარმართონ ფეხბურთელთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად, სათანადო კონტროლი დააწესონ მწვრთნელებისა და ფეხბურთელთა საქმიანობაზე. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ფეხბურთელთა სისტემატური, დაუღალავი მუშაობა საკუთარი სპორტული ოსტატობის დონის ასამაღლებლად. წელს შეჯიბრებებში ფართოთ გამოყენებული იქნება მსაჯთა ადგილობრივი კადრები.

ფეხბურთელთა სწორი წვრთნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კეთილმოწყობილ მოედანს. საჭიროა თვითეული გუნდი უზრუნველვყოთ კარგი სავარჯიშო ბაზით, აგრეთვე მეტი ყურადღება დავუთმოთ შეჯიბრებათა პოპულარიზაციას გაზეთების, რადიოს, აფიშებისა და სათანადო ცხრილების საშუალებით.

რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს მაქსიმალურად გამოიყენონ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები საქართველოში ფეხბურთის განვითარებისათვის და მიაღწიონ სპორტის ამ სახეობის აღმავლობას.

დ. ცომაია,

საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.

ჩვენ გვწერენ

სპორტის მივიწყებული სახეობა

ჩოხატაურის რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა ჭადრაკის განვითარებას. აქ იშვიათად და მაშინაც არაორგანიზებულად ეწყობა შეჯიბრება, არ ტარდება ლექცია-მოხსენებები, აკლიათ საჭადრაკო ინვენტარი და ლიტერატურა. საშუალო და რვაწლიანი სკოლების უმრავლესობაში უგულებელყოფენ სპორტის ამ სახეობას. მოზარდთა სპორტულ სკოლაში ჭადრაკის სექცია არ შეუქმნიათ. ჭადრაკის მასობრიობისათვის დღემდე არაფერი გაუკეთებია „კოლმეურნის" რაისაბჭოსაც.

გ. ახალაია
ჰ. გურგენიძე

მოედანი მოუწყობელია

სოფელ კუმისში ბევრია ფეხბურთის მოყვარული ახალგაზრდა, მაგრამ როგორ დაეუფლებიან სპორტის ამ სახეობას, როდესაც აქ ფეხბურთის მოედანი სამარცხვინო მდგომარეობაშია. კოლმეურნეობამ, როგორც იყო, მოახერხა კარის ბოძების გაკეთება, მაგრამ მოედნის ზედაპირი ძალზე შეუსწორებელია, მას ჰკვეთს გზატკეცილი. შეულობავ მოედანზე ხშირად მანქანა გაივლის ხოლმე, ფეხბურთელები იძულებული არიან დროებით შეწყვიტონ თამაში.

როდემდე გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?

შ. ბეგოიანი,

როდის გველირსება სპორტული ინვენტარი?

ხაშურის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა „სპარტაკის" რაისაბჭოს გამოუყო საათები სპორტდარბაზში სამეცადინოდ. მაგრამ სპორტდარბაზში მეცადინეობა შეუძლებელია, ვინაიდან სპორტული ინვენტარი არ აქვთ.

ჩვენი კოლექტივის ფიზკულტურელებს სურვილი აქვთ იმეცადინონ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, თავისუფალი დრო მოანდომონ საყვარელ საქმეს, მაგრამ ეს სურვილი ჯერჯერობით განუხორციელებელი რჩება.

„სპარტაკის" რესპუბლიკურმა საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და გაგვიწიოს სათანადო დახმარება.

ი. ფასოევი,

არტელ „წითელი სურამის" ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

თბილისის ტაქსმოტორის სადგურის მოსამსახურეთა შორის ბევრია სპორტის მოყვარული. სადგურის ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობს საქალაქო ღონისძიებებში.

სურათზე: ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ავტოშემკეთებელი გ. აკოფოვი და გუნდის წევრი გ. ორჯონიკიძე ავტომანქანასთან.

ფოტო მ. ზარეკიძისა.

პირველი ნაკადი

საქართველო ტურისტებისა და ექსკურსანტების საყვარელი მხარეა. აქ მთელი წლის განმავლობაში არ წყდება მათი სტუმრობა. განსაკუთრებით კი ახლა, ზაფხულის პერიოდში.

მიმდინარე წელს საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო ახალ სეზონს მომზადებული შეხვდა. შეკეთებულია და საჭირო ინვენტარით მომარაგებულია ტურისტთა ყველა ბაზა, რისთვისაც ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

შავი ზღვის პირას ტურისტთა ბაზებმა უკვე დაიწყეს დამსვენებლების მიღება. სუხუმის ბაზამ 15 აპრილს მიიღო პირველი ჯგუფი 247 კაცის რაოდენობით. ტურისტთა პირველი ნაკადი მიიღეს აგრეთვე მწვანე კონცხის, ბათუმის, გაგრისა და ახალი ათონის ტურისტულმა ბაზებმა

წელს ძველ მარშრუტებთან ერთად შემოღებულია ახალი მარშრუტები. მათ შორის აღსანიშნავია ალაგირი-ცეიზარმაგი-როქის გადასავალი-ჯავა-გორი. ეს ყველაზე მაღალმთიანი მარშრუტია. მონაწილეებმა ფეხით უნდა გაიარონ 180 კილომეტრი, რათა მიიღონ „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშანი.

ლ. ნიკოლაიშვილი

თებერდა ემზადება სეზონისათვის

თებერდა ცნობილია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი და ტურისტულ-ალპინისტური მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი ჩრდილოეთ კავკასიაში. აქ ყოველწლიურად ათასობით ტურისტი მოდის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ისინი გულდასმით ეცნობიან ჩრდილოეთ კავკასიის წარმტაც ბუნებას, ახდენენ ალპინისტურ ასვლებს.

თებერდის ტურისტული ბაზა (დირექტორი გ. სოლოღაშვილი) ენერგიულად ემზადება სეზონისათვის. ამას წინათ აქ გაიხსნა კურსები ალპინიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებლად. მიმდინარე წელს ტურისტებისათვის მოეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები.

მ. რატიანი,

კარგი ღონისძიება

ყოველწლიურად მრავალ საინტერესო ღონისძიებას ატარებს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი.

ახალი ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ამ დღეებში, ბავშვთა ცენტრალურ ტურისტულ საექსკურსიო სადგურთან, კომკავშირის თბილისის კომიტეტთან და განათლების განყოფილებასთან ერთად მოეწყო თბილისის მოსწავლეთა ტურისტული ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობდა დედაქალაქის 900-მდე მოსწავლე.

ლაშქრობა დაიწყო დილით. სხვადასხვა მარშრუტით თბილისის გარეუბნების გავლით საღამოს 6 საათზე მონაწილეებმა თავი მოიყარეს სანაპიროზე ი. ბ სტალინის მონუმენტთან. სადაც ნორჩ ტურისტებს შეხვედრა მოუწყვეს სკოლებისა და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

საჭადრაკო ჩემპიონატები

რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში მოეწყო ჩემპიონატი ჭადრაკში.

ჩვენი კორესპონდენტი **ნ. ბერიძე** გორიდან გვწერს: 24 დღე მიმდინარეობდა ქალაქის პირადი პირველობის გათამაშება ჭადრაკში. პირველობისათვის იბრძოდა 19 მოჭადრაკე. ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა პირველთანრიგოსანმა ი. კრიხელმა.

ჩვენი გაზეთის მკითხველი **ლ. ჩხუტიაშვილი** ახმეტიდან გვატყობინებს: რაიონის საჭადრაკო პირველობის გათამაშებაში ჩემპიონობა მოიპოვა კომკავშირის რაიკომის წარმომადგენელმა ვ. ალბუთაშვილმა, ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა ახმეტის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე გ. ერთგულაშვილი. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ გასულ წელთან შედარებით სპორტის ეს სახეობა რაიონში უფრო პოპულარული გახდა.

ჩატარდა ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნე მოჭადრაკეთა პირველობა. გვწერს **ა. პატარაია**. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ჩემპიონობა მოიპოვა სოფელ ხიდმაღალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა კ. შეწირულმა.

ლაგოდეხიდან მოსწავლე **გ. კიკილაშვილი** გვატყობინებს, რომ მოსწავლეთა შორის რაიონის ჩემპიონატში გაიმარჯვა ა. საამოევმა.

თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთ ხევის ბიბლიოთეკაში ჩატარებული საჭადრაკო შეჯიბრების შესახებ გვატყობინებს **პ. ბიჩინაშვილი**, ვანის რაიონიდან — **შ. ტაბიძე**, ქუთაისის რაიონიდან სარაიონო პირველობის შესახებ — **მ. კაკიტელაშვილი**, სუხუმიდან სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" პირველობის შესახებ — **ო. ჩიქოვანი**, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის პირველობაზე **ხ. შუშაბერიძე** და სხვ.

თავდადებული შრომის შემდეგ...

სუფთად გაცრილი სილის ნარევით შემზადებულ მასალას სპეციალურ ხელსაწყოში ყრიან, ნახაზის მიხედვით თუჯის გამზადებულ ფორმებში ასხამენ და ხრახნმჭრელი დაზგისათვის სათანადო დეტალებს ამზადებენ. ლითონის ნამცეცებისა და სილანარევი მიწის ბუღში ჯარასავით ტრიალებენ ახალგაზრდა ოსტატები, რომლებიც დიდი ხანია, რაც თბილისის საჩამომსხმელო-მექანიკურ ქარხანაში მუშაობენ და უკვე წამყვან სპეციალისტებად ითვლებიან.

ქარხნის ახალგაზრდებმა წელს აითვისეს ახალი ტიპის ხრახნმჭრელი დაზგის გამოშვება.

საწარმოო დავალებების დროულად, მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში ავანგარდულ როლს ასრულებს ახალგაზრდობა, რომელთა დიდი უმრავლესობა ფიზკულტურელები არიან.

ამწყობი საამქროს ზეინკალი, ტანმოვარჯიშე ო. გოგიჩაიშვილი დღიურ ნორმებს სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებს. გ. ხურციამ ჯერ კიდევ გასულ წელს შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა და ახლა უკვე 1954 წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას. კომკავშირული ბრიგადა, რომელშიც ბევრი მოწინავე ფიზკულტურელები არიან, შესანიშნავად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ბრიგადის წევრები კი ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ანაღდებენ.

კომკავშირელი კალათბურთელი, კიროვის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატი ე. კიკნაძე ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს. მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მუდამ საუკეთესო ხარისხისაა, მას არცერთხელ არ ჰქონია შემთხვევა, რომ დამზადებული მანქანის რომელიმე დეტალი წუნდებული ყოფილიყო. ხარატმა ი. გორბაჩოვმა უკვე შეასრულა ახალი ხუთწლედის დავალება და ახლა პროდუქციას მომავალი ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში უშვებს. ასეთვე სასახელო მაჩვენებლები აქვს მწრთობელ ი. ტიბელაშვილს, რომელიც ახლა ყოველდღიურ ნორმებს 350-400 პროცენტით ანაღდებს. მექანიკური საამქროს სამდაზგოსანი მრანდავი ვ. ვოლკოვი, რომელმაც უკვე რვა წლის გეგმა გამოიმუშავა, მომავალი ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში ამზადებს პროდუქციას.

საჩამომსხმელო საამქრო, რომელიც მთლიანად ახალგაზრდებისაგან შედგება, ერთ-ერთი მოწინავეა ქარხანაში. ის სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ნორმებს. საამქროს მუშებს იტაცებთ ფიზკულტურა და სპორტი. თვითეული მათგანი სპორტის რომელიმე სახეობას ეტანება, აბარებს ნორმებს მშთ ნიშნებზე, იმაღლებს სპორტულ ოსტატობას.

საჩამომსხმელო საამქრო ამ ქარხანაში გამონაკლისი როდია. თვითეულ საამქროში, თვითეულ ბრიგადაში უდიდესი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. ქარხნის ახალგაზრდები თავდადებული შრომის შემდეგ იკაჟებენ სხეულს, რაც კიდევ უფრო ნაყოფიერს, საინტერესოს ხდის მათს ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას.

ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობას ყოველმხრივ უწყობს ხელს სპორტული ოსტატობის ზრდის საქმეში. მათი ინიციატივით აქ მოწყობილია სპორტული დარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი. ხშირად ეწყობა შიდასაქარხნო შეჯიბრებები, დარბაზში, მოედნებზე ხშირად გამოდიან ახალგაზრდა მუშები, რომლებსაც შესანიშნავი სპორტული მიღწევებით აღტაცებაში მოჰყავთ მაყურებლები.

დ. გეგენავა

ფეხბურთის მოედნებზე

კიდევ ორი ქულა

სურათზე: თბილისის ოფიცერთა სახლისა და ალმა-ატის „დინამოს“ ფეხბურთელთა შეხვედრა. მესამე ბურთი დინამოელთა კარში.

★ ★

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი და ალმა-ატის „დინამო“ ძველი „ნაცნობები“ არიან. ისინი არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს „ბ“ კლასის საკავშირო გათამაშებაში. გასულ წელს თბილისელებმა ორივე წრეში (1:0 და 3:1) მოუგეს ალმა-ატელებს.

ამან გარკვეული დაღი დაჩნია მათ შეხვედრას, რომელიც 10 მაისს გაიმართა. თამაში წინასწარი დაზვერვისა და შეთვალიერების გარეშე დაიწყო. ტექნიკურად და ტაქტიკურად ძლიერ მოწინააღმდეგესთან სტუმრებს წარმატების მოპოვება შეეძლოთ მხოლოდ სწრაფი, მოულოდნელი გარღვევებით, რის განხორციელებაც მათ არაერთხელ სცადეს. არმიელთა დაცვა სისწრაფეშიც არაფრით ჩამოუვარდებოდა დინამოელებს და ყოველ ასეთ გარღვევას დროზე უგნებელყოფდა. დასაწყისში რამდენიმე შეცდომა დაუშვა ჭრელაშვილმა (№ 2), მაგრამ ცენტრალური მცველი არხიპოვი, რომელიც პირველად თამაშობდა გუნდში, ზუსტად და შეუცდომლად მოქმედებდა. იგი კარგად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციებში, წარმატებით უმკლავდებოდა თავის „ქვეშეფს“ და ურთიერთდახმარებაში დროზე ეხმარებოდა პარტნიორებს. გარდა ამისა, იგი ყოველთვის მოფიქრებულად იგერიებდა ბურთს.

პირველი გოლი მოწინააღმდეგის კარში არმიელებმა კუთხური დარტყმის შემდეგ გაიტანეს. ნაზაროვმა კარგად მიიღო ბურთი თავით და იგი ბადეში გაგზავნა.

მთელი ტაიმის განმავლობაში ინიციატივა არმიელთა მხარეს იყო. ნახევარმცველებს გამყრელიძეს, აველისოვს და შუამარბ ნორაკიძეს მტკიცე კონტროლის ქვეშ ჰქონდათ მოედნის შუაგული, ხოლო თავდამსხმელები თითქმის განუწყვეტლივ იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე. კვლავ ოსტატურად ითამაშა ჩაიჩუკმა, რომელიც კარგად ხელმძღვანელობდა თავდასხმას. როგორც ყოველთვის, ენერგიულად, სახიფათოდ თამაშობდნენ სიხარულიძე და ნაზაროვი. საერთო ანსამბლს გამოთიშული იყო კოვერზნევი, რომელიც აგრეთვე პირველად თამაშობდა ამ დღეს.

თამაშის მეორე ნახევარი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა პირველისაგან. „დინამომ“ ეს 45 წუთიც დაცვაში გაატარა, არმიელები კი მეტწილად შეტევაზე იყვნენ. სტუმრები კარგა ხანს წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს, სრული დატვირთვით მუშაობდა მეკარე და დაცვა. არმიელთა ერთ-ერთი შეტევის დროს დინამოელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო. სიხარულიძის მიერ ზუსტად და ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია, მაგრამ ნორაკიძემ მიუსწრო და ანგარიში ორამდე გაზარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმართა მხარეს კვლავ დაინიშნა საჯარიმო. ხურციძის მიერ ჩაწოდებული ბურთი კარგად გაითამაშეს თავდამსხმელებმა და ნორაკიძემ მესამე ბურთი გაგზავნა ალმა-ატის „დინამოს“ კარში.

ანგარიშით 3:0 დამთავრდა მატჩი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის სასარგებლოდ.

რ. ჩაჩანიძე

სსრ კავშირის პირველობა
გათამაშების ცხრილი
„ა“ კლასი

მდგომარეობა 13 მაისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ლოკომოტივი“ მ.	5	3	1	1	11:7	7
„დინამო“ კ.	4.	3	0	1	5:3	6
„დინამო“ თბ.	5	2	2	1	7:5	6
„სპარტაკი“ ვ.	4	1	3	0	3:1	5
„დინამო“ მ.	4	2	1	1	5:2	5
„სპარტაკი“ მ.	4	1	3	0	2:1	5
„კრ. სოვეტოვი“	4	0	4	0	1:1	4
„ტორპედო“	4	1	1	2	5:7	3
მვო	4	1	1	2	2:3	3
„ზენიტი“	4	1	1	2	2:4	3
„ლოკომოტივი“ ხ.	4	1	0	3	3:8	2
„დინამო“ ლ.	4	0	1	3	1:5	1

თბილისის „დინამოს“ პირველი დამარცხება

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი „დინამო“ (თბილისი) და მოსკოვის „ლოკომოტივი“.

თამაში თბილისელებმა შეტევით დაიწყეს. პირველი 15 წუთის განმავლობაში ინიციატივა მათ მხარეს იყო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. „ლოკომოტივმა“ თამაში თანდათან გაათანაბრა და მალე ბურთმა დინამოელთა მხარეს გადაინაცვლა. რკინიგზელთა იერიშები უფრო ეფექტური გამოდგა. 22-ე წუთზე თბილისის „დინამოს“ კარში გატანილ იქნა პირველი ბურთი. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოველმა პეტროვმა ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო 45-ე წუთზე ზარლანიამ უკვე მესამე ბურთი გამოიტანა ბადიდან (იგი კოროტკოვმა გაიტანა).

მეორე ტაიმი კვლავ თბილისელთა შეტევით დაიწყო, მაგრამ ისევ უსარგებლოდ. 26-ე წუთზე პეტროვის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 4:0.

ამის შემდეგ დინამოელებმა შესძლეს 2 ბურთის გაქვითვა და შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ გამარჯვებით, ანგარიშით 4:2.

• • •

10 მაისს „ა“ კლასის გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა კიევის „დინამომ“ ანგარიშით 2:3 განიცადა დამარცხება მოსკოვის „ტორპედოსთან“.

კროსის სპარეზე

გორში გაიმართა საგაზაფხულო მასობრივი კომკავშირულ-პროფკავშირული კროსი, რომელშიც მონაწილეობდა ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, ი. ბ. სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის, აგრეთვე სპორტსაზოგადოებათა და წარმოება-დაწესებულებათა [illegible] ფიზკულტურელი.

ქალთა შორის 500 მეტრი 1 წუთსა და 43 წამში გაირბინა და პირველი ადგილი დაიკავა ლიდა გრაზანოვსკაიამ („სპარტაკი“). ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა გიორგი ნოზაძე (პედინსტიტუტი), რომელმაც 1000 მეტრი 2 წუთსა და 58 წამში დაფარა.

ა. ბერიძე.

ლეჩხუმის მიდამოებში

ამას წინათ ჩატარდა აფხაზეთის ასსრ 1953 წლის პირველობა მოტოსპორტში. 100 კილომეტრი მანძილი 1 საათსა და 18,5 წამში დაფარა და პირველი ადგილი დაიკავა დინამოელმა ა. გავრიკოვმა. მეორე ადგილზეა გ. მურადხანიდი და მესამეზე — კ. შენგელია (ორივე „ისკრიდან“).

50 კილომეტრზე მოტოკროსში, რომელიც სოფელ ლეჩხუმის მიდამოებში ჩატარდა თავიდანვე დაწინაურდა დინამოელი ვ. რუხაძე, მას ძლიერ მეტოქეობას უწევდა პ. შიშმანიანი, რომელმაც მეექვსე წრეზე გაუსწრო კიდეც, მაგრამ რუხაძემ მოუმატა სიჩქარეს, მე-13 წრეზე კვლავ სათავეში ჩაუდგა რბოლას და მოიპოვა პირველი ადგილი.

პ. ლეთოდიანი.

საკუთარი ძალებით

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის ახალგაზრდებმა საკუთარი ძალებით მოაწყვეს ფეხბურთის მოედანი და ჩაატარეს პირველი ამხანაგური შეხვედრა სოფელ სანავარდოს ფეხბურთელებთან. შეხვედრა მათ სასარგებლოდ დამთავრდა.

ა. ლორთქიფანიძე.

სასწავლებლის პირველობაზე

ახალქალაქის პედაგოგიურ სასწავლებელში ჩატარდა შეჯიბრება ფრენბურთსა და მძლეოსნობაში. ქალ და ვაჟ ფრენბურთელთა გუნდებს შორის გაიმარჯვეს მეორეკურსელებმა. სიგრძეზე ხტომაში ვაჟებს შორის პირველობა მოიპოვა ვ. ლომსაძემ, სიმაღლეზე ხტომაში — თ. მოსიძემ. ქალებიდან როგორც სიგრძეზე ისე სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ვ. მეტრეველმა.

ა. ტაბატაძე.

კვირას, 10 მაისს დაიწყო თბილისის პირველობა კალათბურთში.

სურათზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და განათლების განყოფილების გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი

ფოტო მ ზარეკიძისა

ყოველი მხრიდან

სიდნეი. 17 წლის ავსტრალიელმა ჯონ ჰენრიხმა 100 იარდი ზურგზე გასცურა 57,2, წამში, რაც აღემატება ამერიკელი ა. კიფერის მსოფლიო რეკორდს 0,7 წამით.

ნიუ-იორკი. „მედისონ-გარდენში“ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში უიტფილდმა 500 მეტრი გაირბინა — 1:02,9, ხოლო 600 იარდი — 1.09,5. ეს ორივე შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია.

სტოკჰოლმი. შვეციის რეკორდი 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში დამყარა ლენარტ ბროკმა. მისი შედეგია 1:14,6.

პარიზი. საფრანგეთისა და ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ჰოლანდიელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

ლონდონი. აქ გაიმართა ლონდონისა და ბერლინის (დასავლეთ გერმანია) ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი. ინგლისელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 6:1.

როტერდამი. დანიისა და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრა ფეხბურთში დამთავრდა დანიის გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით — 2:1.

ბუენოს-აირესი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ „მილიონარისი“ (კოლუმბია) და „რივერ პლატა“ (არგენტინა). კოლუმბიელებმა ხუთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, თავისაში კი — ერთი მიიღეს.

ბრიუსელი. ავსტრიის ნაკრები გუნდი, რომელიც შედგებოდა ორი უძლიერესი გუნდის „რაპიდისა“ და „ვაკერის“ მოთამაშეებისაგან, შეხვდა ბელგიის გუნდს. ბელგიელებმა მოუგეს მოწინააღმდეგეს ანგარიშით 5:1.

შენიშვნები ბურჟუაზიულ სპორტზე

რინგიდან სასაფლაოზე

საბედისწერო მატჩი წააგო „თავისუფალ ჭიდაობაში“ ახალგაზრდა ამერიკელმა ჯიმ დაულეიმ. როდესაც დარბაზში ველური ყიჟინა შეწყდა და მიწაზე გაშოტილი დაულეისათვის მოიცალეს, იგი აღარ სუნთქავდა. რინგიდან სასაფლაოზე — ასეთი „ფინალით“ დამთავრდა ეს არაადამიანური შეჯიბრება.

ეს მაგალითი იმდენად დამახასიათებელია, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია ამერიკული სპორტული ეთიკის, სპორტის კეთილშობილური მიზნებისა და მისწრაფებათა შესახებ, რომელი სპორტული შეხვედრაც უნდა ავიღოთ — ფეხბურთი, კრივი, რეგბი თუ სხვა, იშვიათია, რომ იგი სპორტსმენის სიკვდილით თუ არა, სხეულის დაზიანების გარეშე დამთავრდეს. „თავისუფალ“ ქვეყანაში არაფრით არ „ზღუდავენ“ „გამარჯვებისაკენ“ ლტოლვას. ამერიკულმა ჟურნალმა „რინგმა“, რომელიც უსირცხვილოდ აცხადებს, რომ ის ყველაზე ობიექტური ორგანოა სპორტულ პრესაში, დაბეჭდა ცნობილი ამერიკელი სპორტული „საქმოსნის“ ფლიშერის სენსაციური წერილი „კრივის პროფესიული საიდუმლოების შესახებ“. წერილი ეხება იმ „მოხერხებულ სპორტსმენებს“, რომლებიც ოსტატურად ხმარობენ ფეხს, სპეციალურ ხსნარში დასველებულ დოლბანდს, რაც ზრდის დარტყმის ძალას და სხვ. კიდევ მეტი. ეს „ობიექტური“ ჟურნალი წერს, რომ ის, ვინც ყოველივე ამას უპატიოსნო ხერხად თვლის და მას არ ეთანხმება, ოცნებათა სამყაროში ცხოვრობსო. საერთოდ, მეტად ადვილია ამერიკული, უფრო სწორად ბურჟუაზიული, სპორტის საიდუმლოების ამოცნობა — მოგება ბიზნესმენს, ლუკმა პური სპორტსმენს, რომელსაც დამარცხებისთანავე უმუშევართა ზღვა შთანთქავს.

ბერის ანაფორის ქვეშ

რა შეიძლება იყოს იმაზე კურიოზული, ვიდრე ეკლესიის მსახური თამაშობდეს ბურთს? წარმოიდგინეთ საბჭოთა კინორეჟისორების განცვიფრება, როდესაც ომის დროს კალიფორნიაში ერთ-ერთი მონასტრის ეზოში ნახეს, თუ როგორ თამაშობდნენ ბურთს „ღვთის მოსავნი“ და როგორ ამტვრევდნენ კბილებს ერთმანეთს ბერი „მოკრივეები“. ეს „ბერები“ იყვნენ შვილები იმ მდიდრებისა, რომლებმაც არ ისურვეს თავიანთი ბავშვების ომში გაგზავნა.

თვით ვატიკანი — ეს „ღვთის მოსავთა“ ბუდე ხომ ერთ-ერთი ძლიერი სპორტული ბიზნესმენია. იგი ხუთი სპორტული კლუბის მფლობელია. ერთი ფრანგული გაზეთის ცნობით, პაპს ძალიან უყვარს სპორტი. თავის დროზე თვითონაც ცურავდა, ჯირითობდა, და ნიჩბოსნობდა. ეს ალბათ კარგად იცოდა ამერიკელმა ფრანკ სეკატონმა, რომელიც სპეციალურად ეწვია მას რომში და კურთხევა გამოსთხოვა ფრანგ რიკუ ლთან შეხვედრის წინ. „წმინდანმა“ კათოლიკური ეკლესიის ყველა ცერემონიალის დაცვით აკურთხა კეტჩის ჩემპიონი (კეტჩი — ჭიდაობაა ყველაზე ველური წესით, რომელშიც დაშვებულია თმის გლეჯა, კბენა, დამტვრევა და სხვ.).

სპორტული აბდაუბდა

ცნობილია, რომ პარიზში გაიმართა ორიგინალური წვერის მატარებელთა კონკურსი. კონკურსში გამარჯვებულს სახე დაფარული ჰქონდა რკინის ლურსმნებით. გამარჯვებული მალე გარდაიცვალა სისხლის მოწამვლით. მაგრამ ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. სამაგიეროდ ფრანგულმა გაზეთებმა დიდი რეკლამა გაუკეთეს კაცს, რომელიც რკინის წვერებს ატარებდა.

ინგლისელმა ცირკის მსახიობმა ალანმა გადაწყვიტა 15 წუთი გაეტარებინა საფლავში, რომელსაც 4 მეტრი სიმაღლე ჰქონდა. ამ შემთხვევამ კინაღამ საფლავის კარამდე მიიყვანა ბურჟუაზიის მიერ განწირული „ჩემპიონობის“ მსურველი.

სპორტის მესვეურები ცდილობენ მყვირალა რეკლამებით დაფარონ ყველა ეს სისაძაგლე. ჟურნალში, გაზეთში, წიგნში მხოლოდ სპორტულ მიღწევებზე გაჰკივიან. არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ ველოგადარბენა 5.000 კილომეტრზე, რომელსაც თითქმის ერთი თვე დასჭირდა, სპორტული თვალსაზრისით არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა; არც ერთი სიტყვა იმაზე, თუ როგორ დაესხნენ თავს ფრანგი ხულიგნები და სცემეს იტალიელ ველოსიპედისტებს, რომლებიც იძულებული შეიქნენ ტური მიეტოვებინათ. ან ვინ გაიგო ცნობილი ველომრბოლელის დეკორტერის სიკვდილი, რომელიც გადარბენის დროს რეკლამის მანქანამ გაიტანა?

ბურჟუაზიულ ჟურნალებსა და გაზეთებს ამისათვის არ სცალიათ. ისინი გატაცებით ბეჭდავენ ისეთ სტატიებსა და წიგნებს, როგორიცაა „ჯეკ მაკოლიფი — რინგის ნაპოლეონი“, „მკვლელი მიჩიგანიდან“, „თქმულება სტენლი კეტჩელზე — მსოფლიოში საშუალო წონის ყველაზე ცნობილ მოკრივეზე“, „ლედის შესახებ, რომელიც ცნობილი სპორტსმენის საყვარელია“ და სხვ. ეს ის ფარდაა, რომლითაც აბნელებენ ხალხს ბურჟუაზიული სპორტის მსახურნი.

ეს გზაა, რომლითაც ბურჟუაზიული სპორტი უფსკრულისაკენ შეუჩერებლად მიექანება.

რ. დვალიშვილი.

რედაქტორი ი. უზულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-64-92, 3/მ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებლის — 3-38-25.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00780